ხელშეკრულება N 2/ს

მცხეთა 26 აპრილი 2022 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია (ს/კ236099789), შემდგომში „შემსყიდველი“; წარმოდგენილი მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის დიმიტრი ზურაბიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „“არტ იდეა“, (ს/კ 406309418) შემდგომში `მიმწოდებელი”, წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის ზურაბ ბარამიძის სახით,, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 05 თებერვლის N64 დადგენილების, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N277 განკარგულების და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის N82 განკარგულების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1. მცხეთის მუნიციპალიტეტში დანართი N1-ით მოცემულ სოფლებში, სკვერების და მოედნების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (CPV71300000).

2. მომსახურების მიწოდების ვადა

1. მომსახურების მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

1. ხელშეკრულების ღირებულებაა - **5580.00 (ხუთი ათას ხუთას ოთხმოცი)** ლარი.
2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს დანართი 1-ის მიხედვით თითოეულ სოფელზე სამუშაოს შესასრულებლად გამოყოფილი ღირებულების 3%. და მომსახურების სრულყოფილ შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახდელებს.

მუხლი 4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველისათვის შესრულებული მომსახურების საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარდგენა განახორციელოს ეტაპობრივად.
2. მიმწოდებლის მიერ წარდგენილი საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
3. მიმწოდებელმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს ცალ-ცალკე 4 ეგზემპლარად (ალბომების სახით) სრული საპროექტო დოკუმენტაციის ელ. ვერსია თვითოეულ პროექტზე (CD), ფორმატში, აგრეთვე ხარჯთაღრიცხვა და მოცულობების უწყისი Excel- ფორმატში.

მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, საბოლოოდ დანართი N1 -ის შესაბამისად,საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6 მხარეთა უფლება – მოვალეობები

1 `მომწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას:
2 გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში..
3 ,,შემსყიდველი ~ კისრულობს ვალდებულებას:
4 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა, გაწეული შესრულებული მომსახურების აქტის გაფორმების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღეში.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

1.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია, მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 0.02% ასეთი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული ვალდებულების დაუყოვნებლივ გამოსწორება.
2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია, მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების 0.02% ასეთი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული ვალდებულების დაუყოვნებლივ გამოსწორება.
3 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების მიწოდების ვადის გადაცდენისთვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების 0.02% ასეთი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული ვალდებულების დაუყოვნებლივ გამოსწორება

4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის გამო მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ს შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 8. კონტროლი (ინსპექტირება)

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, კონტროლს (ინსპექტირება) და მიღება-ჩაბარებაქტზე ხელმოწერას გახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმღები კომისია.

2.მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა .

3. მომსახურების განხორციელების პროცესში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს კონტროლის განმახორციელებელ პირთა მიერ გაცემული, როგორც ზეპირი, ასევე, წერილობითი რეკომენდაციების და მითითებების შესრულება.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობითან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიურიუბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარება ზემხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობითან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორემ ხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი 10. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების შესრულებისაგან.

3. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.

4. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, ცალმხრივად, წერილობითი ფორმით შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5. შემსყიდველი უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას/ვალდებულებებს;

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულები გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

ე) მიმწოდებლის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს;

ზ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;

თ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

მუხლი 11. უფლებების გადაცემა

1. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
2. ხელშეკრულების ფარგლებში მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 12. შეტყობინება

1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს წერილის, დეპეშის, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (შემსყიდველის შემთხვევაში - @) ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.
2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 13. სხვა პირობები

1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რა დროსაც დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
3. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
4. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
6. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია
ს/კ 236099789
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ.7
სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის კოდი: TRESGE22
ა/ნ GE24NB 0330 1002 0016 5022
ტელ:2512696

მუნიციპალიტეტის მერი
დიმიტრი ზურაბიშვილი

მიმწოდებელი ;

შპს "არტ იდეა"
ს/კ 406309418
მის: საქართველო, თბილისი
ბერი გაბრიელ სალოსი1 ბ.19
ტელ: +995597117922
ელ. ფოსტა: artidea2019@gmail.com
სს "საქართველოს ბანკი"
ბანკოს კოდი: BAGAGE22
ა/ნ GE31BG0000000346064630

დირექტორი
ზურაბ ბარამიძე

Zurab Baramidze 01029012095
Digitally signed by Zurab Baramidze
Date: 2022.04.26 17:13:22

დანართი N1

#	სოფლის დასახელება	შესასრულებელი სამუშაო	სამუშაოს შესასრულებლად გამოყოფილი თანხები
			ლარი
1	2	3	4
1	ქსანი	სკოლის ეზოს კეთილმოწყობა	20000.00
2	გოროვანი	სოფლის ცენტრში სკვერის მოწყობა (შეღობვა/განათება)	16000.00
3	ჩარდახი	არსებული სკვერის რეაბილიტაცია და ფანჩატურის მოწყობა	16000.00
4	მისაქციელი	საფეხბურთო მოედანზე კალათბურთის ფარების დამონტაჟება, მოედნის ღობის რეაბილიტაცია	20000.00
5	ნატახტარი	კულტურის სახლის წინ სანიაღვრე არხზე ცხაურების მოწყობა - მათ შორის მოაჯირების დამონტაჟება და გაჩერების კეთილმოწყობა	20000.00
6	აღდგომლიანთკარი	ქუჩის კალათბურთის ერთფარიანი მოედნის მოწყობა თავისი განათებით	16000.00
7	ზემო ნიჩბისი	საბავშვო სკვერის მოწყობა	12000.00
8	კოტორაანთკარი	სკვერის მოწყობა	10000.00
9	ზაქარო	საბავშვო სკვერის მოწყობა	16000.00
10	ჯიღაურა	კალათბურთის მოედნის რებილიტაცია	10000.00
11	წიწამური	საბავშვო სკვერის რეაბილიტაციის გაგრძელება (განათებით)	10 000.00
12	ახალსოფელი	წინა წელს დაწყებული საბავშვო სკვერის რეაბილიტაციის გაგრძელება და კალათბურთის ფარის მოწყობა და განათება	10000.00
13	შანკევანი	სკვერის მოწყობა	10000.00
	ჯამი		**186000.00**

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, აღნიშნულ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოსკანონის I თავისმე-8 მუხლის გათვალისწინებულ პირობებს.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი

დიმიტრი ზურაბიშვილი